შ.პ.ს. “დიდგორი-2011” “Didgori-2011” Ltd
საქართველო, ქ. თბილისი, სოფელი დიღომი, ს/კ 404901111. ტელ.: 551147980
Village Dighomi, Tbilisi, Georgia, I/d: 404901111. Tel.: 551147980

ქ. თბილისის, მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია

დადგენილება №001312

სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

დირექტორი ნ. სილაგაძე

თბილისი 2023 წელი

ქ. თბილისის, მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია

დადგენილება №001312

სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

ქ. თბილისი, გლდანი, ხევძმარის ხევი IIIა მიკრორაიონის მიმდებარედ, ს/კ: 14.11.12.005.398.

დადგენილებით გამოვლენილი შენიშვნები, აბსოლუტურად ყველა, გეგმარებითი ხასიათისაა და შენობის მდგრადობაზე გავლენა არ ექნება. იხ. დადგენილება.

კონსტრუქტორი ზ. სილაგაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია

№ 4-1/2 1902-22
"07" 12 2022 წ.

დადგენილება №001312
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

07.12.2022წ. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ ზაზა კვიციანმა, განვიხილე 2022 წლის 7 დეკემბრის №001312 შემოწმების აქტი „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ" შედგენილი, **შ.პ.ს „ენსი გრუპი"-ს** (ს/ნ №405186365; მის: ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, გრაფ შულენბურგის ქ., №2, შენობა №1, სართული 3) მიმართ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, გლდანი, ხევძმარის ხევი, III ა მიკრო/რაიონის მიმდებარედ, №01.11.12.005.398 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შ.პ.ს „ენსი გრუპი"-ს მიერ, განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 3 თებერვლის №4844422 ბრძანებით (მშენებლობის ნებართვა – ბრძანება №4882144 02.03.2020წ.) შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით, კერძოდ: **ფასადებზე** კედლებზე გაუქმებულია აგურის ფილებით მოპირკეთება. ნაწილობრივ შეცვლილია ფანჯრების და ვიტრაჟების ნახატი და გაბარიტი. ნაწილობრივ შეცვლილია კედლების მოპირკეთება. აივნებზე ნაწილობრივ შეცვლილია მოაჯირების მასალა. კედლების მოპირკეთება ნაწილობრივ შეცვლილი და დასამთავრებელია. ფანჯრებში ნაწილობრივ გაუქმებულია მინები. ავტოფარეხის ღიობებში გაუქმებულია კარები. **შენობაში** დასამთავრებელია სადარბაზოების და მოაჯირების მოწყობა. კედლები ნაწილობრივ შესაღებია. შ.შ.მ.პ-თა სამოძრაო სივრცე არ არის ადაპტირებული (კერძოდ კარები). +0.00 ნიშნულის ზემოთ „ბ-გ" და „1-2" მონაკვეთებში ფანჯრების ნაცვლად მოწყობილია ფრანგული აივნები. **„7-1" ფასადზე:** +0.00 ნიშნულზე „5-5" ღერძის მარცხენა მხარეს დამატებით მოწყობილია ვიტრაჟი. ამავე ნიშნულზე შეცვლილია ვიტრაჟების გაბარიტი. **„1-7" ფასადზე:** -5.70 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია ღიობები. „2-3" მონაკვეთში გაუქმებულია ავტოფარეხის კარი. +0.00 ნიშნულზე ტერასაზე დამატებით მოწყობილია ლითონის კონსტრუქცია. დამატებით მოწყობილია საკომუნიკაციო მილი. **„ე-ა" ფასადზე:** „გ-გ" ღერძთან დამატებით მოწყობილია ღიობები გისოსებით. **„ა-ე" ფასადზე:** გაზრდილია ავტოფარეხის კარის სიგანე. **-5.70 ნიშნულზე და -2.85 ნიშნულებზე** „1-2" მონაკვეთში სადარბაზოს კარებს მონაცვლებული აქვს ადგილი. გაუქმებულია ტამბურები. **-5.70 ნიშნულზე** „1-2" და „ა-ბ" მონაკვეთებში

დამატებით მოწყობილია მონოლითური კედლები, რის გამოც გაუქმებულია საპარკინგე ადგილები. **+0.00 ნიშნულზე** „2-3" მონაკვეთში „გ-გ" ღერძთან კედლებს მონაცლვებული აქვს ადგილი, რის გამოც გაზრდილია სადარბაზოს ფართი. **+3.15 ნიშნულზე** „6-7" მონაკვეთში ტერასაზე დამატებით მოწყობილია კაპიტალური კედლები. **+22.050 ნიშნულზე** გაუქმებულია ერთი ბინა. **+28.35 ნიშნულზე** შეცვლილია პარაპეტის კონფიგურაცია, რის გამოც გაზრდილია ტერასის ფართი. დამატებით მოწყობილია ლითონის კონსტრუქცია. **+31.50 ნიშნულზე** შეცვლილია პარაპეტის კონფიგურაცია, რის გამოც გაზრდილია სახურავის ფართი. ტერიტორია კეთილმოუწყობელია. ტერიტორიაზე არ არის მოწყობილი შ.შ.მ.თ-ა პანდუსები. ტერიტორიაზე დამატებით მოწყობილია მონოლითური კედლები. ტერიტორიიდან გასატანია ამწე საშუალება და სამშენებლო ღობე. დამატებით მოწყობილი კაპიტალური კედლის ნაწილი სცდება საკადასტრო საზღვარს.

2022 წლის 7 დეკემბერს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №001312 „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ." საქმეშია, მხარის 2022 წლის 11 ნოემბრის №10/01223153509-17 განცხადება და ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შ.პ.ს „ენსი გრუპი"-ს მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ ქ. თბილისში, გლდანი, ხევძმარის ხევი, III ა მიკრო/რაიონის მიმდებარედ, №01.11.12.005.398 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 3 თებერვლის №4844422 ბრძანებით (მშენებლობის ნებართვა – ბრძანება №4882144 02.03.2020წ.) შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით,

დავადგინე:

1. **შ.პ.ს „ენსი გრუპი"** დაჯარიმდეს 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარით, ქ. თბილისში, გლდანი, ხევძმარის ხევი, III ა მიკრო/რაიონის მიმდებარედ, №01.11.12.005.398 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის) მშენებლობისათვის.

2. **შ.პ.ს „ენსი გრუპი"-ს** დაევალოს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად ჯარიმა გადაიხადოს

ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში:

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, **შ.პ.ს „ენსი გრუპი"-ს** დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, სამშენებლო სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, სამშენებლო სამართალდამრღვევი ჯარიმდება თავდაპირველად დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც მას შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7).

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე ზ. კვიციანი

№001312 შემოწმების აქტის დანართი

ფასადებზე კედლებზე გაუქმებულია აგურის ფილებით მოპირკეთება. ნაწილობრივ შეცვლილია ფანჯრების და ვიტრაჟების ნახატი და გაბარიტი. ნაწილობრივ შეცვლილია კედლების მოპირკეთება. აივნებზე ნაწილობრივ შეცვლილია მოაჯირების მასალა. კედლების მოპირკეთება ნაწილობრივ შეცვლილი და დასამთავრებელია. ფანჯრებში ნაწილობრივ გაუქმებულია მინები. ავტოფარეხის ღიობებში გაუქმებულია კარები.

შენობაში დასამთავრებელია სადარბაზოების და მოაჯირების მოწყობა. კედლები ნაწილობრივ შესაღებია. შ.შ.მ.პ-თა სამოძრაო სივრცე არ არის ადაპტირებული (კერძოდ კარები). +0.00 ნიშნულის ზემოთ „ბ-გ" და „1-2" მონაკვეთებში ფანჯრების ნაცვლად მოწყობილია ფრანგული აივნები.

„7-1" ფასადზე: +0.00 ნიშნულზე „5-5" ღერძის მარცხენა მხარეს დამატებით მოწყობილია ვიტრაჟი. ამავე ნიშნულზე შეცვლილია ვიტრაჟების გაბარიტი.

„1-7" ფასადზე: -5.70 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია ღიობები. „2-3" მონაკვეთში გაუქმებულია ავტოფარეხის კარი. +0.00 ნიშნულზე ტერასაზე დამატებით მოწყობილია ლითონის კონსტრუქცია. დამატებით მოწყობილია საკომუნიკაციო მილი.

„ე-ა" ფასადზე: „გ-გ" ღერძთან დამატებით მოწყობილია ღიობები გისოსებით.

„ა-ე" ფასადზე: გაზრდილია ავტოფარეხის კარის სიგანე.

-5.70 ნიშნულზე და -2.85 ნიშნულებზე „1-2" მონაკვეთში სადარბაზოს კარებს მონაცვლებული აქვს ადგილი. გაუქმებულია ტამბურები.

-5.70 ნიშნულზე „1-2" და „ა-ბ" მონაკვეთებში დამატებით მოწყობილია მონოლითური კედლები, რის გამოც გაუქმებულია საპარკინგე ადგილები.

+0.00 ნიშნულზე „2-3" მონაკვეთში „გ-გ" ღერძთან კედლებს მონაცვლებული აქვს ადგილი, რის გამოც გაზრდილია სადარბაზოს ფართი.

+3.15 ნიშნულზე „6-7" მონაკვეთში ტერასაზე დამატებით მოწყობილია კაპიტალური კედლები.

+22.050 ნიშნულზე გაუქმებულია ერთი ბინა.

+28.35 ნიშნულზე შეცვლილია პარაპეტის კონფიგურაცია, რის გამოც გაზრდილია ტერასის ფართი. დამატებით მოწყობილია ლითონის კონსტრუქცია.

+31.50 ნიშნულზე შეცვლილია პარაპეტის კონფიგურაცია, რის გამოც გაზრდილია სახურავის ფართი.

ტერიტორია კეთილმოუწყობელია. ტერიტორიაზე არ არის მოწყობილი შ.შ.მ.თ-ა პანდუსები. ტერიტორიაზე დამატებით მოწყობილია მონოლითური კედლები.

ტერიტორიიდან გასატანია ამწე საშუალება და სამშენებლო ღობე.

დამატებით მოწყობილი კაპიტალური კედლის ნაწილი სცდება საკადასტრო საზღვარს.

უფროსი სპეციალისტი----------გ. ამაშუკელი

დანართი ჩაიბარა (სახელი, გვარი, მიღების თარიღი, ხელმოწერა)

_____

_____